

620.9(05)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პაგინი  
"მეცნიერება და ეროვნული კა"

# კ ნ ი რ გ ი ნ

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

**1(97)/2021**

---

თბილისი

## სარჩევი

გვ.

<b>გ.არაბიძე, გ.არაბიძე, წყალსაცავიანი პესების მშენებლობის აუცილებლობის შესახებ.</b>	<b>5</b>
<b>ა.კოხტაშვილი, გ.ხორბალაძე. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის საოპერაციო ღონისძიებები.</b>	<b>12</b>
<b>ქ.ბერიძაშვილი. საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის პერსპექტივა და საწყის ეტაპზე მონიტორინგის ასპექტები.</b>	<b>15</b>
<b>გ.ხ ურცილავა, რ.კილურაძე. მაღალი ძაბვის კაბელის ელექტროიზოლაციის გაზომვის შედეგის განუსაზღვრელობის შეფასება.</b>	<b>21</b>
<b>ა.კოხტაშვილი, გ.ხორბალაძე. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ავარიული მდგრამარეობის მართვა.</b>	<b>30</b>
<b>თ.ნათენაძე, ა.ზერეპიძე, ნ.კერძესელიძე. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ წევის ძრავების რესურსს და ექსპლუატაციის ოპტიმალურ ვადას.</b>	<b>34</b>
<b>ი.ტაბატაძე, მ.ბიბილური. რელაქსაციური შინაგანი ხახუნი თერმულად დამუშავებულ n-GaAs:Te მონოკრისტალში.</b>	<b>40</b>
<b>ი.ტაბატაძე. განადიუმისა და V<sub>0,95</sub>Nb<sub>0,05</sub> შენადნობის არადრეკადი თვისებები.</b>	<b>45</b>
<b>ლ.ბესტაშვა, ნ.დოდოლაძე, ზ.ემბრელიშვილი. ასკანთიხის იონცვლის (Ca-Na) იზოთერმის ექსპერიმენტული მონაცემების ერთგვაროვნების შემთხვევითობის და დროში სტაბილურობის დადგენა.</b>	<b>49</b>
<b>რ.ჩლენტი. საბურორტო-რეკრეაციულ სისტემებში საზოგადოებრივი პვების ქსელში სეზონური დატვირთვების დარეგულირების ეფექტური მეთოდები.</b>	<b>56</b>
<b>რ.ჩლენტი. საქართველოს კურორტებზე საზოგადოებრივი კვების და ქსელის ობიექტების ქალაქებგმარებითი ორგანიზაციის სტრუქტურა.</b>	<b>64</b>
<b>გ. თუმანიშვილი, თ.ნალირაძე, გიორგი თუმანიშვილი. მატარებლის თვლის გორვის წინაღობის შემცირება თვლისა და რელსის კონტაქტის ზონის ტრიბოლოგიური თვისებების სრულყოფით...</b>	<b>75</b>
<b>გ.თუმანიშვილი, თ.ნალირაძე, რ.პირაძე, გიორგი თუმანიშვილი, გ.დიდებაშვილი. თვლისა და რელსის მოხახუნე ზედაპირების დაზიანება და რელსების ტალღური ცვეთა.</b>	<b>82</b>
<b>ვ უ ლ რ ც ა ვ თ</b>	
<b>პროფესორი გერაბ ლორთმიშვანიძე 75 ფლისაა</b>	<b>93</b>
<b>სტატიების შემოტანის წესები.</b>	<b>96</b>

**გ.პრაპიძე, გ.პრაპიძე.** წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობის აუცილებლობის შესახებ.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 5-11. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

**2010-2019 წწ.** საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსის მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაღგენილია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის საშუალი წლიური მოხმარება გაზრდილია  $\approx 51\%-ით$ , ხოლო გამომუშავება კი - მხოლოდ  $\approx 17,8\%-ით$ , ისიც იმპორტირებულ გაზზე მოუშავე თესების, სეზონური და დერეგულირებული ჰესების ხარჯზე. შემცირებულია მარეგულირებელი ჰესების გამომუშავება. 7-ჯერ არის გაზრდილი ელექტრული ენერგიის იმპორტი. ელექტროენერგიის მოხმარების ტენდენციის დაზუსტების მიზნით 2019 წ. მონაცემები შედარებულია 2010-2018 წლების საშუალი წლიურ მონაცემებს. აქაც მოხმარება გაზრდილია  $24\%-ით$ , ხოლო გამომუშავება კი -  $11\%-ით$ . იმპორტი გაზრდილია  $116\%-ით$ , ექსპორტი შემცირებულია  $65\%-ით$ . ექსპორტ-იმპორტის ასეთი ბალანსის ძირითადი მიზეზი მარეგულირებელი სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხედრითი წილის შემცირებაა.

**ა.პრეტაშვილი, გ.ხორბალაძე.** საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის საოპერაციო დონისძიებები.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 12-14. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

სტატია გამოიყენება საოპერაციო ღონისძიებების მართვისთვის. მისი გამოყენების მიზანია ნომინაციის ფიზიკური სიმყარის შენარჩუნება. საოპერაციო ღონისძიებები უნდა ჩატარდეს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ, განსაკუთრებით გადატვირთვის მართვისთვის, რომელიც არ არის რეგულარული საბადანსო ბაზრის საქმიანობის ნაწილი, მაგრამ გარდაუგალია სისტემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

**გ.ბერიძაშვილი.** საქართველოში მიწისქეშა გაზსაცავის მშენებლობის პერსპექტივა და საწყის ეტაპზე მონიტორინგის ასპექტები.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 15-20. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მიწისქეშა გაზსაცავი ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც მოხმარებს ბუნებრივ გაზს და განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც ქვეყნის მოხმარების თითქმის  $99\%-ის$  დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი გაზის იმპორტს ახორციელებს, შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მიწისქეშა გაზსაცავების ექსპლუატაციის ტექნოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის ზრდის ერთ-ერთი წყაროა ხელოვნური გაზის საბაზოების ფორმირების დინამიკის მონიტორინგი, ანალიზი და პროგნოზი. ნაშრომში მოყვანილია აღწერილი მიწისქეშა გაზსაცავის ოთხი პროცესის კომპლექსური მაჩვენებლების გაანგარიშება.

მიღებულია მიწისქეშა გაზსაცავის მონიტორინგის კრიტერიუმის დადგენა ექსპლუატაციის წინა ეტაპზე. შემდგომში თითოეული ეტაპისათვის, თანმიმდევრობით მონაცემების აღრიცხვისას, უნდა მოხდეს აღნიშნული მონიტორინგის კრიტერიუმის შეფასება, დადგენა და მისაღები სცენარის გადაწყვეტილების მიღება.

**გ.ხ.ურცილავა, ო.კილურაძე.** მაღალი ძაბვის კაბელის ელექტროიზოლაციის გაზომვის შედეგის განუსაზღვრელობის შეფასება.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 21-29. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ძალოვანი კაბელის ელექტროიზოლაციის პარამეტრების პერიოდული შემოწმება აქტუალური ამოცანაა, რადგან იზოლაციის მასალა ექსპლუატაციის დროს დროთა განმავლობაში კარგავს თავის ხარისხს, ძველდება, მექანიკურად ზიანდება, რაც

საბოლოოდ აისახება მისი გამრღვევი ძაბვის შემცირებაში. ეს კი ხელს უწყობს ავარიული რეჟიმების აღდგრას, შესაბამის ელექტრულ წრედებში და საბოლოოდ კაბელის იზოლაციის ელექტრულ გარღვევას. ამ არასასურველი რეჟიმების თავიდან აცილება შესაძლებელი, მუდმივი დენის მიმართ იზოლაციის წინაღობის სიდიდის კონტროლით.

ჩატარებულია გიტროლიანდაგიანი მატარებლის ელმავალში გამოყენებული ძალოვანი კაბელების ელექტროიზოლაციის წინაღობის პერიოდული კონტროლი.

გაზომვის შედეგის უტყუარობის (სიზუსტის) შესაფასებლად გამოყენებულია განუსაზღვრელობის კონცეფცია, რამაც უკანასკნელ წლებში ძირითად განვითერებულ ქვეყნებში, ჩაანაცვლა გაზომვის სიზუსტის შეფასების „ტრადიციული“ ცდომილებების მეთოდი.

გაფართოებული განუსაზღვრელობის ინტერვალური შეფასებისათვის მიღებულია ( $1.609 \leq R \leq 1.685$ ) მგომი,  $P = 0.95$ .

**ა.პრეტაშვილი, გ.ცორაბალაძე. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ავარიული მდგომარეობის მართვა. "ენერგია". №1(97). 2021. თბილისი. გვ. 30-33. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

განხილულია ავარიული მგდომარეობის მართვის პროცედურა. კერძოდ, არსებობს ორი განსხვავებული მდგომარეობა: საგანგებო და ავარიული. ზოგადად, მთავრობას უფლება აქვს გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, ხოლო სსე - როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორი საქართველოში - უფლებამოსილია გამოაცხადოს ავარიული მდგომარეობა. მისი გაუქმების შემდეგ საჭიროა გამოიყენოს ადეკვატური კომპენსაციის მექანიზმები, აგრეთვე შესაბამისი ვადების გათვალისწინებით უბალანსობის მონაცემები უნდა იქნას შესწორებული.

**თ.ნათენაძე, ა.ზერეპიძე, ნ.კერესელიძე. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ წევის ძრავების რესურსს და ექსპლუატაციის ოპტიმალურ გადას. "ენერგია". №1(97). 2021. თბილისი. გვ. 34-39. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

დადგენილია, რომ დორულად და ხარისხიანად ჩატარებული საქართველო რემონტი და ქარხანა-დამამზადებლის მიერ შემუშავებული ექსპლუატაციის წესების და ინსტრუქციების სწორად დაცვა უზრუნველყოფს წევის ძრავების მსახურობის ვადის გაზრდას.

გამოვლენილია, გაანალიზებულია და დასაბუთებულია გარემონტებული წევის ძრავების პარამეტრების გაუარესების მიზეზები.

**ი.ტაბატაძე, გ.ბიბილური. რელაქსაციური შინაგანი ხახუნი თერმულად დამუშავებულ n-GaAs:Te მონოკრისტალში. "ენერგია". №1(97). 2021. თბილისი. გვ. 40-44. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

მაღალ ტემპერატურებზე ვაკუუმში მოწვების გავლენით მონოკრისტალურ n - GaAs:Te-ის [100] ორიენტაციის ნიმუშებში გამოვლენილია დეფორმაციული წარმოშობის მაღალი ინტენსივობის შინაგანი ხახუნის მაქსიმუმები 400 და 500°C ტემპერატურათა არეებში. დადგნილია მათი რელაქსაციური ბუნება და განსაზღვრულია მოძრაობის აქტივაციის ენერგიისა და სიხშირის ფაქტორის მნიშვნელობები. ნაჩვენებია მაღალტემპერატურული ფონის და რელაქსაციური მაქსიმუმების ინტენსივობის მნიშვნელოვნად ამაღლება რხევითი ამპლიტუდური დეფორმაციის  $10^{-4}$ - $10^{-3}$  დიაპაზონში. 100-120°C ტემპერატურულ ინტერვალში გამოვლენილია არადეფორმაციული წარმოშობის დაბალი ინტენსივობის რელაქსაციური პროცესი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის განპირობებულია დარიშხანის ატომების პოზიციებში ფორმირებული გაკანსიების წყვილების მოძრაობით ნიშანცვლადი ძაბვის გელში.

**0. ტაბატაძე.** ვანადიუმისა და V<sub>0,95</sub>Nb<sub>0,05</sub> შენადნობის არადრეკადი თვისებები. "ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 45-48. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

გრეხითი რხევების მილევის ლოგარითმული დეკრემენტისა და სიხშირის რეგისტრაციის მეთოდით შესწავლილია წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის V და V<sub>0,95</sub>Nb<sub>0,05</sub> შენადნობის შინაგანი ხახუნისა და ძვრის დინამიკური მოდულის ტეპერატურული დამოკიდებულებები. რხევის სიხშირის 0,5-5,0 ჰც დიაპაზონში გამოვლენილია უანგბადისა და აზოტის ატომების მიგრაციით გამოწვეული რელაქსაციური პროცესები. განსაზღვრულია რელაქსაციური შინაგანი ხახუნის მაქსიმუმების მოძრაობის აქტივაციის ენერგიისა და სიხშირის ფაქტორის სიდიდეები. შეფასებულია მარცვლების გამყოფი საზღვრების მიგრაციის ენერგია და ნაჩვენებია მისი ამაღლებისადმი მიღრეკილება V<sub>0,95</sub>Nb<sub>0,05</sub> შენადნობში. Nb-ით ლეგირება განაპირობებს ძვრის დინამიკური მოდულის ზრდას და O და N მინარევების კონცენტრაციის შემცირებას 10-15%-ით.

**ლ. ბესტავა, ნ. ლოდოლაძე, ზ. მემარელიშვილი.** ასკანთიხის იონცვლის (Ca-Na) იზოთერმის ექსპერიმენტული მონაცემების ერთგაროვნების შემთხვევითობის და დროში სტაბილურობის დადგენა.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 49-55. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ასკანთიხის საშუალო სრულმა მიმოცვლითმა მოცულობის სიდიდემ 500 მგ-ეკგ/ლ შეადგინა. დადგენილია ასკანთიხის Ca- Na იონცვლის კოეფიციენტი  $k = 1,59 \text{ მ}^3/\text{მ}^3$ .

ექსპერიმენტიდან მიღებული მონაცემები ერთგვაროვანია, შემთხვევითია და დროში სტაბილურია. აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტიდან და ფორმულიდან მიღებული მონაცემების თანხვედრის შემოწმება პირსონის თანადობის კრიტერიუმითა შესაძლებელი.

**რ. შლენტი.** საკურორტო-რეკრეაციულ სისტემებში საზოგადოებრივი კვების ქსელში სეზონური დატვირთვების დარეგულირების ეფექტური მეთოდები.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 56-63. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ჩატარებული კვლევის შედეგების და სიახლის რეალიზების პირობებში სოციალური ეფექტი პერსპექტივაში, 2025 წლისთვის, გულისხმობს საქართველოს კურორტებზე სეზონზე 5 მლნ.-მდე ადამიანის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დია ქსელით მაღალეფებზე მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან დასვენებას და გაჯანსაღებას, გამოჯანმრთელებას, სიცოცხლის გახანგრძლივებას; საზოგადოებრივი კვების დია ქსელის საწარმოებში ისეთი კონტრასტული სიტუაციების შექმნას მაღალმხატვრული და არქიტექტურული საშუალებებით, რომელიც აშკარად განსხვავდება ყოველდღიური ვითარებისგან. მთავარი განმასხვავებელი თავისებურებაა კვების ფუნქციისა და რეკროსაქმიანობის (დასვენება, გართობა, თამაშობანი და ა.შ.) შეთავსება.

**რ. შლენტი.** საქართველოს კურორტებზე საზოგადოებრივი კვების დია ქსელის ობიექტების ქალაქებებითი ორგანიზაციის სტრუქტურა.

"ენერგია". №1(97). 2021. ობილისი. გვ. 64-74. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

რეკრეაციული მომსახურების სფეროს განვიხილავთ როგორც რთულ, პოლიფუნქციურ სისტემას, რომლის ძირითადი ელემენტები და ქვესისტემები სხვადასხვაგვარია: სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, იდეოლოგიური, ესთეტიკური და სხვათა "შეფერილობის" გამო მათი რანგითა და მნიშვნელობით, განვითარების კანონზომიერებითა და სივრცის ორგანიზაციის უნარით.

გიოგალისწინებთ რა სხვადასხვა რანგის და ტიპის რეკრეაციული წარმონაქმნების ფორმირების კონცეფციას, მიზანშეწონილად მიღვაჩნია რეკრეაციული სტრუქტურების ორგანიზაციის დროს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების ღია ქსელის ობიექტების აღილი და როლი აღნიშნულ სისტემაში განისაზღვროს ქალაქებისა რეკინციპებზე დაყრდნობით და სხვადასხვა ტიპის რეკრეაციული სივრცის არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირების განსაკუთრებულობის გათვალისწინებით.

**3. თუმანიშვილი, თ.ნადირაძე, გიორგი თუმანიშვილი. მატარებლის თვლის გორგის წინადობის შემცირება თვლისა და რელსის კონტაქტის ზონის ტრიბოლოგიური თვისებების სრულყოფით.**

"ენერგია". №1(97). 2021. თბილისი. გვ. 75-81. ინგლ. ანოტ. ინგლ. რუს.

თვლებისა და რელსების მოხახუნებზე და პირების სრულყოფა, თვლების გორგის წინადობის და მატარებლის მიერ მოხმარებული ენერგიის და ცვეთის ინტენსივობის შემცირება მიიღწევა ამ ზედაპირების განცალკევებით სათანადო ტრიბოლოგიური თვისებების მესამე სხეულით. ჩვენს მიერ დამუშავდა ეპოლოგიური ხახუნის მოდიფიკატორები თვლებისა და რელსების მიმმართველი და გორგის ზედაპირებისათვის. კონტაქტის ზონაში მესამე სხეულის არსებობა დგინდებოდა ექსპერიმენტულად ხახუნის მომენტის და ხმაურის ცვლილებით. გამოვლინდა ნეგატიური, ნეიტრალური და პოზიტიური ხახუნის, მსუბუქი, მძიმე და კატასტროფული ცვეთის და ზედაპირების დაზიანების შესაბამისი სახეების ხვადასხვა ფარდობითი სრიალის პირობებში.

ილ. 5, ლიტ. 16.

**გ. თუმანიშვილი, თ.ნადირაძე, რ.ბიჭაძე, გიორგი თუმანიშვილი, ბ.დიდებაშვილი. თვლისა და რელსის მოხახუნე ზედაპირების დაზიანება და რელსების ტალღური ცვეთა.**

"ენერგია". №1(97). 2021. თბილისი. გვ. 82-92. ინგლ. ანოტ. ინგლ. რუს.

თვლისა და რელსისათვის დამახასიათებელი გორგა-სრიალის მოვლენები რელსების ტალღური ცვეთისაქნ მიღრებილებას განაპირობებს. რელსების ტალღური ცვეთის შესახებ მრავალი სამეცნიერო შრომაა ცნობილი, მაგრამ ამ მოვლენის ზოგიერთი ასპექტი ჯერ კიდევ სათანადო შესწავლილი არ არის.

ქვლევებმა გვიჩვენა მესამე სხეულის მაღალი მგრძნობიარობა სრიალის სიჩქარის მიმართ, რის გამოც მძიმედ დატვირთულ მოხახუნე ზედაპირებზე (როგორიცაა თვალი და რელსი) ხშირად მესამე სხეულის რღვევას აქვთ ადგილი.

გამოვლინდა კონტაქტის ზონაში ერთდროულად მიმდინარე სხვადასხვა სახის დაზიანების (ჩაჭდევა, პლასტიკური დეფორმაციები, დაღლილობითი დაზიანება) მაღალი მგრძნობიარობა მესამე სხეულის რღვევის ხარისხის მიმართ.

ქვლევებმა გვიჩვენა, რომ რელსების ტალღური ცვეთის აუცილებელი პირობაა თვლისა და რელსის მოხახუნე ზედაპირების პერიოდული გასრიალების გამო უშუალო კონტაქტის ადგილებში მესამე სხეულის რღვევა და შეჭიდულობა. მესამე სხეულის რღვევის დასაწყისი და რღვევის ხარისხი დგინდებოდა ლაბორატორიულ პირობებში. თვლის რელსზე პერიოდული სრიალის წყაროდ განიხილება წყვილთვალის მოძრაობა ლიანდაგის მრუდ მონაკვეთზე, თვლების სიმრგვალიდან გადახრა და წყვილთვალის თვლების განსხვავებული დიამეტრები.

ილ. 9, ცხრ. 1, ლიტ. 9.